არსებული შენობის კონსტრუქციული დასკვნა

ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. 126 -ში მდებარე ორსართულიანი შენობა, (შპს "ელ +", აშენებულია გასული საუკუნის 70 იან წლებში), ზომებით გეგმაში 12,90*42,0 მ, სიმაღლე 11.0 მ. ნაშენის მზიდი ორმალიანი კარკასი, რომელიც განთავსებულია განივი მიმართულებით შედგება რკინაბეტონის სვეტების (განივკვეთი 1 სართულზე 400*400 მმ, განივკვეთი 2 სართულზე 350*350 მმ) და რკინაბეტონის კოჭებისაგან (განივკვეთი 1 სართულზე 700*400 მმ, განივკვეთი 2 სართულზე 500*350 მმ). პირველი სართულის სართულშუა გადახურვა მოწყობილია რკინაბეტონის ასაწყობი წიბოვანი ფილებისაგან, ხოლო მეორე სართულის მოწყობილია ლითონის კონსტრუქციაზე მოწყობილი სენდვიჩის ფილებისაგან (რეკონსტრუქციის შემდეგ). შენობის კონტურზე გრძივი მიმართულებით სვეტებს შორის პირველი სართულის იატაკის ნიშნულის ქვემოთ განლაგებულია რკინაბეტონის რანდკოჭები (განივკვეთი 450*350 მმ), რომელზეც დაშენებულია კონტურის კედლები. ასევე პირველი სართულის იატაკის დონიდან 3,0 მ ნიშნულზე შენობის კონტურზე გრძივი მიმართულებით სვეტები ერთმანეთთან დაკავშირებულია რკინაბეტონის კოჭებით (განივკვეთი 450*350 მმ). კედლები აშენებულია სამშენებლო პემზის ბლოკით ქვიშაცემენტის დუღაბზე. I სართულის სრული სიმაღლეა H = 6,85 მ, II სართული სიმაღლე H = 3.7 მ. შენობა დაფუძნებულია წერტილოვან საძირკველზე (დაყრდნობის ფუძე 1,4*1,4 მ), საძირკვლის ჩაღრმავება პირველი სართულის იატაკის ნიშნულიდან შეადგენს 1,9 მეტრს. დასაძირკვლება ხდება კენჭნარზე, რომლის საანგარიშო წინაღობაა 6,0 კგ/სმ2. რეკონსტრუქციის შემდეგ (2016-2017 წ) იატაკის დონეზე დამატებით მოწყობილია რკბ-ის ფილა. არსებულ შენობაზე რეკონსტრუქცია ჩატარდა საქართველოს ტექნიკური ჯგუფის 2016 წლის (ს/კ 200236707), საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

საპროექტო მიშენება (ზომებით გეგმაში 11.2*53.0 მ, სიმაღლე 10.5 მ) კონსტრუქციული თვალსაზრისით, სამსართულიანი რკბ-ის კარკასული შენობაა, განივი და გრძივი მიმართულებით. განივი კარკასი - ერთმალიანია, კონსოლური (სიგრძე 2.0 მ, არსებ. სძირკვლის გაბარიტის გათვალისწინებით) ნაწილით, არსებული შენობის მხარეს. გრძივი კარკასი ცხრამალიანია, მალის სიგრძით-6.0 მ.

შენობის დაფუძნება შესრულებულია წერტილოვან საძირკვლებზე. იგი შეკრულია რკბ-ის რანდკოჭებით, ორივე მიმართულებით. საძირკვლის ჩაღრმავება - 1.9 მ იატაკის ნიშნულიდან, მომიჯნავე საძირკვლის დონეზე, მის გვერდით (დაცილება 100 მმ).

არსებული შენობის მხარეს, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ვერტიკალური სეისმური ნაკერი.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინებით, საპროექტო შენობის ზემოქმედება არსებულზე უმნიშვნელოა, მომიჯნავე შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: გ. გოგოლაძე.

08.06. 2018 წ.